№ 234
ნოემბრის 2, შაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 234
ნოემბრის 2, შაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1903 წელს

გაზეთი „ივერია" გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☛ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☚

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
საგურამოში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

პირველ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე
„ივერია"
ჰღირს 2 მანეთად და 75 კაპეიკად

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія".

ს.-პეტერბურგის კომპანია „ნადეჟდა"

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩააბაროს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

მიახსნა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე,ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისა საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნ ა ვ ო ს ნ ო ბ ა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში საველელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არათ
ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) დაზღვევა ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) დაზღვევა გადასატანისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიოს საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „ნადეჟდას"-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.
(120—6.—47)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ზქლიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს ხახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардiана. Тифлисъ, противъ памят. Ворон.
(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ბედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

ვრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

№ 11. ტელეფონი 617.

დილის წარმოდგენა

ქართული თეატრი

კვირას, 3 ნოემბერს, 1902 წ.

დილის იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დაკლებულის ფასებით

დილის 12 საათზედ

I

მეორედ გაყმაწვილება

დრ. 4 მოქ. გად. დ. ერისთავის მიერ.

II

დუელი

ვოდევილი ერთ მოქ. გადმოკ. ნ. გალუსტოვის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი და სხ. ბ-ნნი: დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, კ. შათირიშვილი, სარჯველიძე და სხ.

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მანეთიდან 8 მან.-დე; პარტერი 50 კ.-დგან 1 მ.50კ.-მდე, ამფიტეატრი 60 კ.-დან 1 მ.-მდე; გალერეია 25 კ.-დან 35 კ.-მდე.

მოწაფეებისათვის ადგილები 60 კაპ.

დასაწყისი დილის 12 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „ხალხის მტერი", „დენიზა",

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თავად-აზნაურობის თეატრი

ტელეფონი 617.

დღეს, შაბათს 2-ს ნოემბერს, ხარკოვის რუსულის ოპერის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება

ფაუსტი

ოპერა 5 მოქ. მუზიკა გუნოსი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: არციბაშევისა, დობრჟანსკისა, ბაუერი, ბ-ნნი დნეპროვსკი, სუნცევი, სერგეევი, პეტროვი, და სხ.

კაპელმეისტერი **მ. მ. ბუკშა.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა ღებულია დილის 10 საათ. 3-მდე და საღამოს 6-დამ წარმოდგენის გათავებამდე.

ხვალ, კვირას 3 ნოემბერს, **ა. პ. ბონაჩიჩის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ოპ. **გუგენოტი**, ორშაბათს 4 ნოემბერს, **ვ. მ. დობრჟანსკის** საბენეფისოდ წარმოდგენილ იქნება **„მეფის საძლო"**.

მალე წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებს **მ. ნ. ინსაროვისა.**

მზადდება წარმოსადგენად კომიკური ოპერა **„ციგანსკი ბარონი"**.

უფროსი რეჟისორი **ივ. ფითოევი.**

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.
(წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ ტფილისის გუბერნატორის მიერ შედგენილ წეს-რიგის თვალ-ყურის დევნა სახალხო იაფ ფასიან და უფასო სამკითხველოში დავალა მაზრის უფროსს.

✦ 8 ნოემბერს რიყის ქუჩაზედ დაიწყებს მოქმედებას პირუტყვთა მფარველ საზოგადოების სამკურნალო.

✦ თავად ზ. ერისთავის ოძისის მამულში, ძველ შენობათა შესაკეთებლად მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წელს გადაუდვია 500 მანეთი.

✦ ოლქის სასამართლოში ქალაქმა შეიტანა საჩივარი გენერალ დოლუხანოვზედ, რომელსაც ბაქოს ქუჩაზედ დაუჩემებია ქალაქის ადგილი, ზომით 88 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა.

✦ ქალაქის გამგეობამ, საბებიო ინსტიტუტში, დიდის მთავრის სახელობაზედ დაარსებულ ოთხს სტიპენდიაზედ, უკვე დანიშნა ოთხი მოსწავლე ქალი, რომელთაც თვეში დაენიშნათ ორ-ორი თუმანი თითოს.

✦ ამ ნოემბრის ნახევრიდგან, თავ. მიხეილ ვახტანგის ძის მაჩაბლის ზედამხედველობით და ხელმძღვანელობით ტფილისის გუბერნიაში დაიწყებს მუშაობას მიწის მზომლების დასი, რომელიც სახელმწიფო გლეხკაცებს დაუნაწილებს სახნავ-სათესავ მიწებს.

✦ მოგვივიდა ი. იმედაშვილის გამოცემათა № 22-ი—კაცი ვარ და ქუდი მხურავსო, კომედია სამს მოქმედებად, თხზ. რევ. ვაჩნაძისა. წიგნი სუფთად დაბეჭდილია და ღირს ერთ აბაზად.

✦ პურის საცხობის „ზარიას" პატრონი სთხოვს ქალაქის გამგეობას შეიძინოს ქალაქმა მისი პურის საცხობი ყოველის მოწყობილობით და თვით ადგილიც, 700 ოთხ-კუთხი საჟენი. საცხობის პატრონი კამანდაროვი სთანხმდება, რომ ქალაქმა ამ საცხობისა და ადგილის ფული 25 წლის განმავლობაში გადიხადოს ნაწილ-ნაწილ.

✦ ორშაბათს, 4 ნოემბერს, ბ-ნ ეფიანჯიანცის თავმჯდომარეობით, შესდგება იმ მცირე კომისიის კრება, რომელსაც მინდობილი აქვს ზუბალაშვილის სახელობაზედ ღარიბთათვის სახლის აგების საქმე.

✦ ოთხშაბათს, 6 ნოემბერს, ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით, დანიშნულია ქალაქს თავ-შესაფართა კომისიის წევრთა კრება; კრება განიხილავს წარსულ, 3 მარტს, თავშესაფართა სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენის ანგარიშს.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ მიმართა ერევნის გუბერნატორს თხოვნით, რომ მისის დახმარებით შესდგეს მემამულეთა კრება უმაღლესად დამტკიცებულ სამეურნეო საჭირებათათვის პროგრამის განსახილველად. კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ერევნის გუბერნატორისაგან შემდეგი პასუხი მიიღო: რადგანაც ყველა ის მემამულენი, რომელნიც დამოუკიდებლად განაგებენ თავიანთ მამულს და ყველა ისინიც, რომელთაც შეუძლიანთ მსჯელობა იქონიონ ამ პროგრამის შესახებ, მიწვეულნი არიან საგუბერნიო კომიტეტში, ამიტომ მეტია ცალკე კრების შედგენაო.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერს უკვე შეუმუშავებია გეგმა იმ წესისა, რა წესითაც უნდა გაჰყიდონ ტფილისში შეშით მოვაჭრეთ შეშა; ამ წესთა გეგმა წარედგინება შეშით მოვაჭრეთ 3 ნოემბერს დანიშნულს კრებაზედ; ამ გეგმაში ბევრ საყურადღებო დადგენილებათა შორის მოხსენებულია ისიც, რომ ყველა შეშის ვაჭარმა უნდა იხმაროს პოლიციისაგან შემოწმებული ზომა. ვინც ამ პოლიციისაგან შემოწმებულის გზაში იქნაირ ზომას არ იხმარს, ... ნება მიცემული...

✦ ქალაქის ტეხნიკოსნი შეუდგნენ ... სახლების წინ ქვაფენილების ხარჯ-აღრიცხვის გამოკვლევას; ყველა სახლის წინ ქვაფენილის სია წარედგინება ტფილისის პოლიცმეისტერს, რომელიც კისრულობს სახლის პატრონებს ქვაფენილები გააკეთებინოს.

✦ ამ დღეებში მოხდება იმ იურისტების კრება, რომელთაც დავალებული აქვთ ქალაქის გამგეობისაგან წარუდგინონ თავიანთი აზრი, იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია ქალაქის სასწავლებელთა კომიტეტს—აღმასრულებელი კომისია დაერქვასო და ეს სახელის გამოცვლა რამდენად იქონიებს კომიტეტის წესწყობილებაზედ გავლენასაო. კრებას დაესწრებიან ნაფიცი ვექილები: შევალიე, ქალანთარი, ჩემესოვი, ოპოჩინინი, ტურკევიჩი და სხვანი.

✦ თავად-აზნაურთა საზოგადოების სკრის მამულში ვაზს რაღაც ავადმყოფობა აღმოაჩნდა. მამულების გამგემ მიმართა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს დაენიშნა ვინმე სპეციალისტი ამ ავადმყოფობის გამოსაკვლევად; საფილოქსერო კომიტეტმა მაშინათვე დანიშნა კომისია აგრონომის სპენევის უფროსობით, რომელიც შეუდგა ამ ადგილ-მამულის გამოკვლევას; კომისიას გამოუკვლევია რა ეს მამული, აღმოუჩენია, რომ იქ მძვინვარებს ფილოქსერა და მუსრავს ვაზსა და ხეხილსა, ამის გამო კავკასიის საფილოქსერო კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს ამ ამბავს და, რათა სხვა მამულები დაიცვას ამ ავადმყოფობისაგან, კომიტეტს აღუკრძალავს ვაზისა, ხეხილისა და ბალახის თესლაუნლობის გატანა ამ ადგილებიდგან.

✦ თითქმის ორი წელიწადი ჰქონდა ქალაქის გამგეობას მიწერ-მოწერა რუსეთის მე-

ქანდაკებთან იმის თაობაზედ, თუ როგორ უნდა შეკეთდეს ვარანცოვის ძეგლიო; ძეგლის შეკეთება იკისრა ბოლოს მექანდაკემ ტაუგლიხმა, რომელიც ამ ორის კვირის წინად უკვე შეუდგა საქმეს. ტაუგლიხის შეკეთება იმითი დაიწყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს დაიწყო ძეგლის ხეხვა. ძეგლი ბრინჯაოსაგან არის ნაკეთები და რამდენიც უფრო ძველია ბრინჯაო, იმდენად ძვირფასია; სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მექანდაკემ ხოდოროვიჩმა შეაყენებინა ტაუგლიხს მუშაობა და ქალაქის გამგეობას განუცხადა, რომ ძეგლს შეკეთება-კი არა, გარეცხა უნდაო. ამ ნაირის შეკეთებით-კი ძეგლს ფასი დაეკარგებაო.

◆ ჩვენის გაზეთის მკითხველებს უკვე ვაუწყეთ იმ ხელშეკრულობის შინაარსი, რომელიც უნდა დაიდოს ქალაქის გამგეობასა და სოლოლაკის მთაში გვირაბის გამთხრელთა შორის. ამ ხელშეკრულობის განსახილველად 29 ოკდომბერს შესდგა კრება იმ კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს ამ საქმის დაბოლოვება; კრებაზედ მოწვეული იყო თვით ინჟინერი ბ-ნი ხატისოვი; ერთი მუხლი ხელშეკრულობისა ხატისოვსა და ბრაილოვსკის ნებას არ აძლევს გვირაბში რკინის გზა გაიყვანონ, ამ უფლებით თვით ქალაქის გამგეობას სურს ისარგებლოს. ამ მუხლის განხილვამ გამოიწვია დიდი ლაპარაკი: ხატისოვი გარდაწყვეტით ითხოვდა, რომ ქალაქს მათთვის მიეცა ნება გვირაბში რკინის გზის გაყვანისაც; უამისოდ ხელს არ მოგვცემს გვირაბის გაყვანაო. კომისიის წევრები იმ აზრს ადგნენ, რომ ქალაქის ქუჩებზედ რკინის გზების გაყვანის უფლება მოპოვებული აქვს მხოლოდ უსახელო საზოგადოებასა და ავჭალის ქუჩაზედ „კონკის" პატრონს ბ-ნ ყორდანოვსაო. დიდის ბაასის შემდეგ ბ-ნს ხატისოვსა და კომისიას შორის მაინც არაფერი მორიგება მოხერხდა და ინჟინერმა ხატისოვმა განაცხადა: თუ ქალაქი ნებას არ მომცემს გვირიბში რკინის გზის გაყვანისას, კრება და მოლაპარაკება მომეტებული იქნება, რადგანაც ერთად ერთს შემოსავლის წყარო კონცესიონერებისა, რკინის გზა უნდა იყოსო.

◆ 31 ოკდომბერს, მოხდა შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა და ქალაქის ხორცის დუქნების ზედამხედველ კომისიის წევრთა. კრებამ განიხილა „შრომის საზოგადოების" თხოვნა, რომელიც ქალაქს სთხოვდა ან უფასოთ და ან იაფ ფასად დაეთმო კომისიას დუქნებიდან ხორცი; კრებამ საზოგადოების თხოვნაზედ უარი განაცხადა, რადგანაც ისეც ძალიან იაფია ამ დუქნებში ხორციო, მოერეც ეს ქალაქი ისეც ზარალობს ამ საქმეშიო. კრებამ მოისმინა აგრედვე ვარშამოვის თხოვნა. ავლაბარში ჩემს შენობას ხორცის დუქნისთვის მოგაქირავებთ წელიწადში 500მან., კრებამ ვარშამოვს უარი უთხრა, რადგანაც უკვე მეტეხის ქუჩაზედ, გულასპოვის სახლში, დავიქირავეთ შენობა ხორცის დუქნისთვისო. კრებასვე მოხსენდა ავლაბრელების თხოვნა, რომელნიც ხორცის დუქნის დაარსებას სხვაგან სადმე თხოლობენ, და არა გულასპოვის სახლში, მეტეხის ქუჩაზე; კრებამ ეს თხოვნა არ შეიწყნარა. კრებამ ბ-ნ ფეის 150 მანეთი გადუწყვიტა ხორცის დუქნების ანგარიშის შედგენისათვის; როგორც ამ ანგარიშიდგან სჩანს, დუქნების დაარსების დღიდგან აგვისტომდე ქალაქის ხორცის დუქნებს უზარალნია 256 მან. კრებამ დაამტკიცა ეს ანგარიში და დაადგინა, აღიბეჭდოს ცალკე პატარა წიგნებათ ეს ანგარიში და დაურიგდეთ ქალაქის ხმოსნებსაო. კრებამ დაადგინა აგრედვე დუქნებში იყიდებოდეს მთელი დაკლული საქონელიცაო და უფრო-კი ქალაქის იმ ნაწილის მეყასპეებს მიეყიდოთ, სადაც არ არის ჯერ ხორცის დუქანი დაარსებულიო, ამასთანავე ხორცის დუქნებიდგან გაიყიდოს ერთ ფუთზედაც მეტი თითო კაცის თავზედაო, თუ რასაკვრელია მსურველი იქნებაო; უპირატესობა-კი უნდა მიეცეთ საავადმყოფოებსაო, სხვა-და-სხვა ღარიბთათვის საზოგადოებებს და სხვა; კრებამვე დაადგინა პირველ ნოემბრიდგან ქალაქის ხორცის დუქნებში დადგან ყუთი, რომელშიაც ინახებოდეს რვეული, სადაც შეეძლოთ ხორცის მყიდველებს თავისი უკმაყოფილების აღნიშვნა. ბოლოს ბ. თავმჯდომარემ, ჩერქეზიშვილმა, აღძრა კითხვა, შესაძლებელია, რომ კიდევ შემცირდეს ხორცზედ ნიხრი თუ არაო; თავმჯდომარე ამტკიცებდა, ნიხრის შეცვლა შესაძლებელია, რადგანაც ქალაქში საქონლის ფასმა დაიწიაო; კრების წევრები ამტკიცებდნენ, რომ ეს მოვლენა დროებითია, რადგანაც ქალაქმა ბევრი საკლავი საქონელი შეიძინა და ადვილათ შესაძლებელია ისევ აიწიოსო. კრებამ ეს კითხვა განურჩეველი დასტოვა და ამაზედ მსჯელობა გადასდეს შემდეგ კრებისთვის.

◆ 12-დგან 29 ოკდომბრამდე ქალაქის კასაში სადეზინფექციო კამერიდან შემოსულა 136 მან. 47 კაპ.

◆ ქალაქის სააუქციონო დარბაზში პირველ ნოემბრისთვის ყოფილა სხვა-და-სხვა ნივთი დირებული 39,431 მან. 9 კაპ.

◆ დღეს, 2 ნოემბერს, ქალაქის ტეხნიკოსების თახადასწრებით, დამის თავშესაფართა კომისია დაათვალიერებს პირველ დამის თავშესაფარს.

◆ მიხეილის ქუჩაზედ მიხეილ ეიზენგარტის 4 წლის ვაჟი, თამაშობის დროს გადმოვარდა მესამე სართულიდგან და მძიმედ დაშავდა.

◆ ავჭალის ქუჩაზედ, რკინის გზის სადგურის ახლო, ვიღაც აისორი აშენებს სამ სართულიან სახლს, თუმცა სახლი ჯერ გათავებული არ არის, მაგრამ იქნებოდა, ესე დილის ათი საათი, იქუხა ავჭალის ქუჩის მხრივ ლაბიერმა და ქუჩაში გადავარდა; რადგანაც განგების ძალით, უბედურობა არა დატრიალებულა, თუმცა-კი ავჭალის კონკის მიმოსვლა თითქმის საათ ნახევარი იყო შემდგარი.

ჩვენებური ამბები

ხოვლე (გორის მაზრა). ჩვენი ახლად აგებული სასწავლებლის შენობა მალე დაგვიბერდა. გვეშინიან, არ დაიქცეს და მასწავლებელ-შეგირდიანათ ქვეშ არ მოიყოლოს. ამ შენობის აგება იკისრა იჯარით აქაურმავე გლეხმა, დათიკა ქიქინაძემ 11—15 წლის წინად. ფულები აწაპნა და შენობა-კი ფუქსავატად გააკეთა. ეს ორი-სამი წელიწადია, ვართ ერთ გულის ხეთქაში და კანკალ-ცახცახში. წარსულმა დიდმა მიწის ძვრამ დიდი ზიანი მიაყენა სკოლას. სამხრეთის მხრივ ერთი კედელი ზედ შუაზედ გაიპო და ყოველ ზამთარს ცივი, სუსხიანი ქარი დაუპატიჟებელ სტუმარსავით გვპვლავს ნახევრათ ტიტვლიკანა მოსწავლე გოგო-ბიჭებს. სადაა პატრონი? ფანჯრები ჩვენ აღარ გვეარგა, ბუხარი და კარები. 26-ს ამთვეს თოვლიც გვესტუმრა, ეს ცივი, თეთრი ზეწარი სოფლის მთა-ველისა. დაიჭირა სიცივეები. დადგა ზამთარი. სკოლისათვის-კი ჯერ კეწერი შეშა არსადა სჩანს. სოფელი მოვალეა ყოველ წლივ სასწავლებელს მისცეს ოთხი საჟენი შეშა. როგორცა სჩანს, წრეულსაც, შარშანდელისავით, სოფელს თებერვალში მოაგონდება, რომ სკოლას შეშა უნდა და კიდევ ისე გვეტყვიან: „რადათ გინდათ შეშა, ეხლა ხომ გაზაფხულიც დადგა"-ო. ბავშვების დედ-მამას მაინც როგორ არ აგონდებათ ცივს ოთახში მოცახცახე თავიანთი პატარა ლექსოები, ილოები, მამოები და ნატოები!.. არა ერთხელ თავის თვალითვე უნახავთ დაცრეცილ-დაყინული ბალღები, როგორ იორთქლავენ ხელებს, რომ ოდნავ მაინც არის შეითბონ და წერა დაიწყონ. მეც, თქვენი უმორჩილესი მონა, ყოველ დღე პალტოში და კალოშებში ვასწავლი, ისე ცივა სასწავლებელში. მამასახლისს და სხვა სოფლის მოხელეს ჩვენთვის არა სცალიანთ! მაჭარი ვიღამ დალიოს, სოფელი ვიღამა ცქვლიფოს... მერე ეხლა ხარჯების კრეფვაა და მარა ქნას, რისთვის დადის მთელი დღე უბან-უბან, ვისთვის შრომობს? როდემდის „აყაიათოს" კუჭი. როდის-და მოესწროს ყანყრატოს „ჩაკოკლოზინავებას"?

ჩვენმა დიდიხნის ხვეწნამ და მუდარამ გასჭრა: ჩვენს უდროოდ დაჩანჩქებულს-დანგრეულს სასწავლებელს ბედმა გაუღიმა, სახალხო სკოლების დირექციამ გამოიმეტა სკოლისათვის 400 მ. შესაკეთებლად. სასწავლებელს თუმცა ბევრი რამე სჭირდება, ეს რას ეყოფა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ყვავისა და კაკლის ანდაზა...

სამკითხველო, ეს ჩვენი სოფლის განათლების გვირგვინიც იცრემლება, ის აღარ არის, რაც იყო. წინანდელივით აღარ სჭექს. განა თუ მუშტარი მოაკლდა საკითხავ წიგნებს? არა, მაგრამ რაღა წაიკითხონ, როცა არსაიდგან ახალი წიგნები აღარა გვემატება-რა. წევრებმაც გული აიცრუეს, საწევრო ფულმა ძალზედ იკლო. ფული გვიჭირს, უფულოთ ვერა მოგვიხერხებია-რა, ფულით, კარაპეტასი არ იყოს, სულს ვაცხონებთ. „ჩვენი ავლა-დიდება კატას აეკიდება".

სამკითხველოს გახსნის პირველს ხანებში დიდი იმედები ისახებოდა. ასამდის მეტმა პირმა გამოგვიწვდინა ხელი საშველად! დღეს ჩვენ მცირე რიცხოვანს წევრებს თითებზედ ჩამოგითვლით. ბევრი, ბევრი, ოცი თუ იქნება! საკვირველია ღმერთმანი, რათა კოჭლობს ყოვლივე ჩვენებური ქართველური საზოგადო საქმე. ჭორი, ჭორი-მეთქი და ერთმანეთისადმი ქიშპი-ენა-ღვარძლიანობა აფერხებს ყველანაირს ჩვენებურს საქმეს და ამ მხრივ ხოვლე ვის რაში ჩამოუვარდება!? რა ვქნა; „ჩემი ენა, ჩემი მტერია". ეს მესამეთ გვქონია წლიური საზოგადო კრება, ანგარიშების განსახილველად და კრება ვერც ერთხელ ვერ შესდგა კანონიერ წევრთა რიცხვის დაუსწრებლობის გამო. მეოთხეთ გადავსწყვიტეთ, კრება კანონიერათ ჩათვლილიყო რამდენი წევრიც უნდა დასწრობოდა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, აღარც ერთი არ მობრძანებულა! პირს კატა ნაცემი-კი დავრჩით. დიახ, წევრებმა მოიხალისიანეს.

წრევანდელი ზაფხული სააგარაკოთ მოსულ მოსწავლე ბავშვებისა იყო. ესენი ჰმართავდნენ უფასო საბავშვო წარმოდგენებს და ლიტერატურულ სალამოებს მოზრდილ ქალიშვილების ხელმძღვანელობით. ქება-დიდება იმ პატივცემულ ქალბატონთ, რომელთაც შრომა არ დაიშურეს და უნაყოფოდ არ ჩაუტარეს მოზარდ თაობას სააგარაკო სამი თვე. მე ბევრს სოფელში შევხვედრივარ უაზროდ მოხეტიალე მოსწავლეებს. ხოვლეში სააგარაკოდ მოსული მოსწავლე ბავშვები-კი მშვენიერს შთაბეჭდილებით დაბრუნდნენ სხვა-და-სხვა სასწავლებლებში, სადაც თავის სწორ-ამხანაგთა შორის ნეტარებით მოიგონებენ ხოვლეში გატარებულს დროს. კიდევ და კიდევ მადლობა იმ პირთ, რომელთაც არა შურთ თავიანთი წვლილი შეიტანონ ახალთაობის გაწვრთნა-განვითარებაში

ხოვლეს მასწავლებელი.

კავკასია

თმენიყავა (კავკავის მაზრა). ამ ხეობაში მცხოვრებნი, თითქმის, სასოწარკვეთილებაში არიან ჩაცვივნულნი მას აქეთ, რაც ამ ზაფხულს მაილის მყინვარი მოსწყდა, ჩამოვარდა და საშინელი უბედურობა დაატრიალა; მცხოვრებნი ჯერაც გონს ვერ მოსულან, მაილის მყინვარი-კი მათ არ იბრალებს და თავისას არ იშლის. აგერ, ჩვიდმეტს ოკდომბერს, კიდევ მოსწყდა მაილის მყინვარს უშველებელი ნაწილი და დაჰქანდა ხეობაში. ახლად მოგლეჯილი ყინული ორ ზომად მეტი ჩამოსცდა წინანდელს ჩამოვარდნილ ყინულს.

მდინარე განაღდონი საშინლად მატულობს და ჰგლეჯავს სანების ხეობას. გზის შეკეთება ამ ხეობაში ყოვლად შეუძლებელი ხდება.

—

ბარის ოსები. სწორედ საშინელი და საკვირველია წლევანდელი წელიწადი აქეთ. შემოდგომა ხომ სულ წვიმიანია და ხალხს მუშაობას აღარ აცლის, სიმინდები მინდორში მოუმტვრეველი ფუჭდება. ბუნებამ წვიმაც აღარ გვაკმარა და ოც-და-ხუთს ამ ღვინობისთვეს თოვლიც დასდო.

ქართველი ოსებში.

რუსეთი

ცნობა იმის შესახებ, [illegible] სამხედრო აკადემიაში მიიღებენ სასულიერო სემინარიებში კურს დასრულებულთ, მართალი არ გამოდგა. სამხედრო უწყებას ამ საქმის გადაწყვეტა ჯერ-ჯერობით გადაუდვია.

— მომავალ სრულიად რუსეთის ვეტერინართა კონგრესზე სხვათა შორის განიხილავენ იმ საქმეს, თუ როგორ უნდა მოეწყოს სასოფლო სასწავლებლებში სავეტერინარო ცოდნის გავრცელება.

— ინჟინერ კირილოვს მოუგონია ახალი მანქანა, რომლის საშუალებითაც მატარებლის ლიანდაგიდგან გადაცდენა აცილებულ იქნება.

— 29 ოკდომბერს პეტერბურგში ტენიშევის სასწავლებლის შენობაში ჩვენმა თანამემამულემ პროფ. ი. რ. თარხნიშვილმა წაიკითხა საჯარო ლექცია: სისხლის თეთრი პატარ-პატარა სხეულები, მათი თვისებანი და მათი სიცოცხლე. სისხლის სნეულებანი ანემია, ჰიდრემია და სხ. ბრძოლა მათთან, სისხლის მოვლა, როგორია სისხლი ადამიანის სხვა-და-სხვა ხანში და სხ.

— მწერლობის წარმომადგენელთა მიერ არჩეულ კომისიამ მოსკოვში დაასრულა თავისი მოქმედება. კომისიამ განიხილა სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეთა საზოგადოების წესდება, რომელსაც აზრად აქვს ჟურნალ გაზეთში მოღვაწე მწერლები ერთმანეთს დაუახლოვოს, დაეხმარონ ერთმანეთს და დაიცვან კარგი და კეთილი ზნე-ჩვეულებანი და სხ. მოხსენებას კომისია წარუდგენს საზოგადო კრებას.

— მოსკოვში, 24 ოკდომბერს ლაზარევის ინსტიტუტში მოხდა წლიური აქტი, რომელთანაც შეერთებული იყო ინსტიტუტის 30 წლის დღესასწაული. ინსტიტუტის დირექტორმა ვ. თ. მილერმა განიხილა ინსტიტუტის 30 წლის ისტორია. თავდაპირველად, სწავლის დაწყების დროს, კურსებზე 5 სტუდენტი იყო და 2 თავისუფალი მსმენელი. მეოთხმეცე წლებში—20, მეოთხმოც-და-ათე წლებში—50, და ახლა-კი 62. 40 ინსტიტუტში კურს დასრულებულები სადიპლომატო სამსახურში არიან მაგ., სპარსეთში, ოსმალეთში, ეგვიპტეში, ინდოეთში და სხ. 50 მსახურობს შუა აზიაში, კავკასიაში და რუსეთის შიდა გუბერნიებში.

ალექსანდრე ხახანაშვილმა წაიკითხა სტუდენტთა სია წარსულ სამოსწავლო წლისა. კლასებში 61 მსმენელი იყო, 14 გაათავა სწავლა. წელს მიიღეს 30, მათ შორის 21 სტუდენტია და 9 თავისუფალი მსმენელი. ინსტიტუტი მონაწილეობას იღებდა ჰამბურგში ორიენტალისტთა კონგრესზე და ხარკოვში მე-XII საარქეოლოგიო კრებაზედ.

უცხოეთი

მაკედონია. ბოლგარიის გაზეთები სავსეა მაკედონიაში ოსმალთა მხეცურ საქციელის

ფელეტონი

ძღვნად სომხისა და ქართველ მოწინავე მოღვაწეებს.

უკანასკნელ დროს სომხეთა და ქართველით ჟურნალ-გაზეთობაში პოლემიკაა ატეხილი. ამ პოლემიკას აზრი არა აქვს. ქართველი ხალხი სომხურ გაზეთებს არ ჰკითხულობს, რადგანაც სომხური არ იცის. ხოლო მის ნასწავლ კაცთა წოდების წარმომადგენელთაგან ბევრავალი კიდევ იმდენად წინასწარ აზრიანობს სომხეთა მიმართ, რომ ძლივს თუ რამე შეასმინოს მათ ადამიანმან. როცა გარემომცველი პირობა ასეთია, პოლემიკა საქმით ნაყოფს ვერ გამოიღებს. შეგნებულის ადამიანისთვის ცხადია ეს თავის-თავად, ცხადი და ჩვეულებრივი საქმე. მტრობის ჩამოგდება ამ ორ ღვიძლ-ძმა ხალხში, ჩემის ფიქრით, ნიშნავს კაენის აყოლას—ძმის მკვლელობას.

I

„ივერია" გაზეთის რედაქციას ნებავს სომხების საქართველოდგან გაყრა, რათა ქართველები დაიხსნას ამ მავნებელის „ბაცილებისაგან". თუ იმ მაზრებში, სადაც ქართველები მკვიდრობენ, სომხები მართლა „ბაცილების" როლს თამაშობენ, ქართველებს სრული ნება აქვსთ მათი გაყრისა. ეს საზოგადო ბუნებითი კანონია.—ყოველი სულდგმული ხორციელი (ორგანიზმი) ცდილობს თავი განითავისუფლოს მავნებელის არსებისაგან. ამ საკითხის გადაწყვეტა ჩემზედ რომ ყოფილიყო დამოკიდებული, დავუმადლებდი პატივცემულ რედაქციას, თუ გაყრილ სომხებს დააბრუნებდა კავკასიის იმ გუბერნიებში, რომელნიც ერთ დროს სასომხეთს შეადგენდნენ. მაშინ ეს „მავნებელი ბაცილები" თავიანთ კარგს, თუ ცუდ ძალას მოახმარდნენ თავიანთ სამშობლო ქვეყნის განვითარების საქმეს, აღარ იწანწალებდნენ შორეულ მაზრებსა და უცხო ქვეყნებში, სადაც მათ უცქერიან ცუდის თვალით. მაგრამ საუბედუროდ (ხოლო გამყრელთათვის ეგება საბედნიეროდაც) ამ საკითხის გადაწყვეტა არც „ივერიის" პატივცემულის რედაქციისა და არც ჩემ ნებაზეა დამოკიდებული. უწინ ქართველთა „ბაცილა" სომხები რუსთა სახელმწიფოს ქვეშევრდომები არიან. ხოლო საკეისროს საზოგადო კანონების ძალით ყოველ რუსეთის ქვეშევრდომს (ებრაელთა გარდა) ერობისა და რჯულის განურჩევლად ნება აქვს თავისი საქმისათვის ადგილი აირჩიოს საკეისროში ყოველგან. ასე რომ „ივერიის" პატივცემულის რედაქციის გულის-წყრომა ამ თვალით სხვა არაფერია, თუ არ ქარის ტეხა ქიქა წყალში.

საკითხი რომ მარტო რედაქციის გულის წყრომას შეხებოდა, შესაძლებელი იქმნებოდა მისთვის მიგვეგო სომხურის სახალხო თქმულებით: დათვი ტყეს გაუწყრა და წავიდა, ტყე-კი ვერაფერს მიხვდაო. მაგრამ აქ ორ მოძმე და საუკუნოვან მეზობელ ხალხთა ურთიერთობრივ განწყობილობის საქმეა.

ამას გარდა, გახლავს ერთი სხვაც, ესრეთ წოდებული **ძლიერი** და **უწყალო საეკონომიო მკაცრი კანონი**, რომელიც ადამიანს ძალას ატანს გადასახლდეს თავისი სამშობლო ქვეყნიდგან. ეს კანონი **მიუცილებლობის კანონია** და ამის წინაშე ბუნების კანონიც-კი იმუსრება.

ყოველი ქმნილება და ყოველი ხორციელი ცდილობს თავისთვის გაიკეთოს ბინა, ორმო, თუ სორო. ფრინველს უნგრევთ ბუდეს, ის კიდე ცდილობს ახალის გაკეთებას. მხეცს აგდებთ თავის ბუნაგიდგან, ის კიდე ცდილობს ფარულად თავისს ბუნაგს დაუბრუნდეს. ერთის სიტყვით, სულდგმული თავისს საყვარელ „ბინას", თუ „სოროს" სტოვებს მხოლოდ მაშინ, როცა ილაჯი გაუწყდება იქ ცხოვრებისა. იმავე ბუნების კანონს ექვემდებარებიან ხალხები და ინდივიდები. ერთი ხალხი მეორეს ართმევს მამულსა, არბევს, თუ იმონავებს. დამონავებულს ხალხს სიყვარული სამშობლო მიწისა იმდენად ძლიერი აქვს, რომ ხშირად ვერც-კი შორდება სამშობლოს. დამკვიდრებული სამშობლო ქვეყანაში, რომელიც მისი „ბინაა", საუკუნეთა განმავლობაში ცრემლით ალტობს თავისს სიწმინდეთა ნაოხრებს. მოთმინებით იტანს მონებას და ვერ შორდება თავისს ქვეყანას. იმდენად ძლიერია ის ბუნების კანონი,—„სამშობლო ქვეყნის" სიყვარული. მაგრამ მიუცილებლობის კანონი თავისის მძლავრობით იმ კანონს ამარცხებს. რა ატანს ძალას მამულის მოყვარე გერმანელს დააგდოს „საყვარელი მამული" (Lic bes Yaterland) და გადასახლდეს ამერიკას, აფრიკას, ავსტრალიას და სხვა შორეულ ქვეყნებში? რა ატანს ძალას რუსის საწყალ „მუჟიკს" დააგდოს თავისი კარმიდამო და წლობით საქმე ეძიოს რუსეთის შორეულ კუთხეში? რა ატანს ძალას იმერეთის შორაპნის, თუ სხვა მაზრების მცხოვრებს, ტფილისში „ლაქიობას" ეწიოს, სადგურებზე ერევნის გუბერნიამდე, ჩრდილოეთ კავკასიის მადნეულის წყლების არეზე „მებუფეტის" ხელობას დაადგეს? რა ატანს ქუთაისის მცხოვრებთ ნოვოროსიისკს, იალტას, თუნდ სხვა ნავთსადგურებში კავკასიის შალეულობა და ფიფქები ერთი ათად უფრო ძვირად ჰყიდონ გულუბრყვილო რუსეთელზე? რა ატანს ძალას ძველი საჩხერის მაზრის მცხოვრებთ დააგდონ თავიანთი სახლკარი, ადგილი-საყოფელი, კერა და სახლობა და ტფილისს, ბათუმს, იალტაში „მეკურტნეობას" ხელი მიჰყონ?

პროფესორი ს. ელიაზარიანი.

(„ნორდარის" № 158)

(შემდეგი იქნება)

მიტრო ჭედილაშვილი

(მოთხრობა)

IX *)

ნიკო ზაფრაძემ გაშალა ფრთები, მოხსნა პირი თავის ოხუნჯობას და მჭევრ მეტყველებას და ყველა აღტაცებაში მოიყვანა. ისე შევიდა როლში, რომ მიტრო ერთხელაც არ გაჰხსენებია, არც-კი შეუხედავს მისთვის. ან სად ეცალა?!. იმისი ყურადღება ახლა მღვდლის გულნარაზე იყო მიპყრობილი სრულიად. გარდასწყვიტა ქალისა და მისის მშობლების ყურადღებაც თავისკენ მიექცია.

ქალს ვეძებდი მამულიანს,—ფიქრობდა გულში,—ლამაზს და აი ესეც ვნახავ. დაველაპარაკები. თუ სულ უსწავლელი არ გამოდგა, ან სულელი, ჩემი ცოცხალი თავით არავის დავანებებ; თუ მიტრო ბევრ ლაპარაკს დამიწყებს, იმ წუთსავე გამოვააშკარავებ, რომ ის ჩემი სტოროჟია და არა ამხანაგი—ფერშალი. მე რაღა განათლებული და პატიოსნების დამცველი ახალ-გაზდა ვიქნები, თუ ამ გაფურჩქვნილ თაიგულს, ამ სიცოცხლის მომნიჭებელს, გაუზრდელ კაცს ჩაუგდებ ხელში?!. როგორ მივსცემ ნებას, ეს პატიოსანი ხალხი შეაცდინოს. დეე, მე უარი მითხრან, მხოლოდ მიტროს-კი ხელს დავაბანინებ!

ასე გადასწყვიტა ნიკომ გუნებაში.

როცა ნიკო ასეთს ფიქრებში იყო, მიტრო ჩავარდა საგონებელში. ქალი იმასაც ძლიერ მოეწონა და აღარ იცოდა, რაექნა, ისე სცდილობდა, რითიმე თავი ესახელებინა და ქალის ყურადღება მიექცია.

— აგერ ნახევარი საათია გავიცანი,—ამბობდა გულში მიტრო,—პირდაპირ ვუყურებ და, აბა, ერთი თუ შემომხედოს! ნეტა ვიცოდე, რა მიზეზია. მორცხვობს? ეშინიან? ან შეიძლება მწუნობს?.. ჰმმ... არა, არა, ეგ სასაცილოა, შეუძლებელია! ვერა ხედავს, სულ ოქრო-ვერცხლში ვარ ჩამჯდარი? შე, საწყალო, რა თვალი გაგშტერებია ემაგ ნიკოზე?

მიტრომ ზიზღითა და შურით სავსე თვალები ნიკოს მიაპყრო.

აბა, ერთი კაცმა ჰკითხოს ამ უნამუსოს, განაგრძო თვისი ფიქრი მიტრომ, რა არის რო ასე გააჭარტალა ეგ ენა? მე არა ვსთხოვე... რისათვის წამოვაჯრიე და რაებს მიჰქარავს? ისე იქცევა თითქოს სანეფო ეგ იყოს და მეკი მისი მაყარი, თითქოს თითონ იჩარხავს თავისს საქმეს. თუ მართლა ცუდი რამ გიდევს გულში, ნიკო ფერშალო, ძლიერ შემცდარი ხარ. ხა-ხა-ხა! შე საცოდავო, ერთი კაცმა შემოგხედოს, რასა ჰგევხარ? ისე გამხმარხარ და გაფშეკილხარ, როგორც ნინიკაანთ დეკეული, თითქოს ამ წელიწადში არა გხეთქოს რა. ან შენი ჩაცმულობა რასა ჰგავს? ბევრი, ბევრი სამი თუმანი ღირდეს, ჩემი ოქროს საათი იყიდის და გამოისყიდის მთელ შენ ავლა-დიდებას. თუ რამე ცუდსა ფიქრობ, მიფრთხილდი, ძმაო, მიფრთხილდი, იცოდე, არ დაგინანებ და დაგიყვირებ, რომ შენ ბანკში ცალი კაპიკიც არ გაბადია, ვიტყვი, რომ შონ იმდენიც არ გაგაჩნია, რომ ქალი დანიშნო. შე საცოდავო, როგორ გინდა მე შემედარო, ამ შენი გაფხეკილი ლოგინით, ჩერკესკით, გაქეციანებული ჩემოდნით? ხა-ხა-ხა!.

ასე ფიქრობდა მიტრო თავისს მხრივ და თანდა-თან აღელვებაში შედიოდა, იმაგრებდა, ანუგეშებდა თავს, მაგრამ მაინც-კი ეშინოდა რიღასიცა. წუთი-წუთს ასწრობდა და ნიკო ზაფრაძე, ეს საიმედო და მასახელებელი მაყარი მიტრო ჭედილაშვილისა თითონ იდგამდა გვირგვინს ბედნიერებისას.

დაასრულა რა ეს ფიქრი მიტრომ, გაილო

*) იხ. „ივერია" № 233.

აღწერით; სწორედ შემაძრწუნებელ ამბებს მოგვითხრობს ხალხის გაწყვეტისა და ეკლესიათა წაბილწვის შესახებ.

ბოლგარიის გაზ. „Болгарски Торговски Вѣстникъ“-ი იუწყება: ოსმალთა ბრბონი გამხეცებული სდევნიდნენ მეამბოხეთ, მაგრამ ამაოდ: იგინი ხან აქ გაჩნდებოდნენ და ხან იქ; არ ასვენებდნენ ოსმალებს და როდესაც გაუჭირდებოდათ, თავშესაფარს ადვილად პოულობდნენ. ოსმალები დაიმედებულნი იყვნენ, ერთის შეტევით გავაქრობთ და გავანადგურებთ მეამბოხეთაო, მაგრამ ისეთი წინააღმდეგობა გაუწიეს მათ, რომ სიზმარშიაც არ მოელანდებოდათ. მაშინ მიჰყვეს ხელი მშვიდ მცხოვრებთა და დაუწყეს სოფლებს აოხრება. გაანადგურეს სოფ.: მეჩკული, სენოკოსი, ოშჩავა, სერბინო, გრადევო, პალეკი და სხ. მრავალი, დაარბიეს იგინი და, რასაც-კი მოერეოდნენ, ყველაფერი წაიღეს; გააუპატიურეს 8 წლიდან მოყოლებული ხნიერ მოხუცებამდე ყველა დედაკაცები, მერე დასჭრეს ყელები და სოფლებს-კი ცეცხლი წაუკიდეს. ვლახის მართლ-მადიდებელთა ეკლესია, მანამ ცეცხლს მოუკიდებდნენ, შეურაცხჰყვეს ოსმალთა ბაში-ბუზუკებმა წმიდა ხატებს ხანჯლებით თვალები დასთხარეს; საკურთხეველი ხომ საშინლად წაჰბილწეს.

— „Вечерняя Почта“-ს თანამშრომელს უნახავს სოფიაში მაკედონიიდან გამოქცეულნი. მოუსმენია ერთ დედაკაცისაგან მისი ქმრისა და ბავშვების მის თვალწინ დახოცვის ამბავი:

„მე სოფელ ბისტრიციდანა ვარ,—ტირილით მოსთქვამდა საბრალო დედაკაცი. ოსმალებმა ჩვენი სოფელი მთლად გაანადგურეს და შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს. მამაკაცებს ყველას ყელები დასჭრეს, ჩვენ-კი ქალები... გვტანჯეს, გვაწამეს; ჩვენი ძუძუს ბავშვები ყამებით (პრტყელი ოსმალური ხანჯალი) აჰკუწეს... ჩემი ქმარი ველიუ... ოჰ! მოგონებისაც-კი მეშინიან! დაეცა ჩემ ფერხთა წინაშე ოსმალთა ტყვიით ხუთგან განგმირული. ჩვენი მწყემსი გიორგი ცხვარივით წამოაქციეს და გაუყარეს ყელში დანა... ოჰ! რომ გენახათ როგორ გადმოსდუღდა სისხლი და რამდენი დაიღვარა! შიგ ეკლესიაში დასჭრეს თავები ეკლესიის მნათეს ნიკოლოზსა და მის ძმას მიტოს. სანამ დაჰხოცდნენ, იგინი დიდს სატანჯველს მისცეს და აიძულებდნენ ეჩვენებინათ დამალული საეკლესიო ფული. ერთი პატარა ბავშვი, რომლის დედმამა მის თვალწინ დახოცეს, შეშინებული გაიქცა და მორთო ყვირილი, მაგრამ ოსმალთ აღარ აცალეს, დაუმიზნეს თოფები და... ბავშვი დაეცა განგმირული ხუთის თუ ექვსის ტყვიით... მე და სხვა სამ ქალს საშინლადა გვცემეს მათრახებით. მე გონება მიხდილი დავვარდი; ეს დილით მოხდა; როდესაც გონს მოველ შეღამებულიყო. სოფელი წარმოგვიდგენდათ განადგურების საშინელ სურათს. მე ჰკუიდგან შეშლილსავით დავეხეტებოდი სახლების ნანგრევებზედ, რომელიც სავსე იყო ახალ დახოცილთა გვამებით. ძუძუს ბავშვები ჩაჰკვროდნენ დედების გვამებს და მწარედ გაჰკიოდნენ... მე... კინაღამ შევიშალე ჰკუიდან და რომ ამ საზარელ სურათს, რომელსაც ვერც მხატვარი დახატავს, ვერც კალამი აღწერს, ვერც ენა გამოსთქვამს, ცქერა ველარ შევძელ ტყეში შევვარდი. მახლობლად თოფის ხმა მოისმოდა.

გარშემო ცეცხლები ცას სწვდებოდა და ბნელი ღამე დღესავით იყო განათებული. მე მივრბოდი და მივრბოდი მთისაკენ. ვხედავდი შორიდან, როგორ იწოდა ჟელეზნიცა. ოჰ! ჩემო პაწაწა შვილებო! ჩემო გვრიტებო. სად არიან ეხლა იგინი! ჩემი ძვირფასი მტრედები? ერთი სამისა და მეორე ხუთის წლისა იყვნენ. ვის რა დაუშავეს მათ? ანგელოზზედ უწყინარნი, უმანკონი. თვით ტარტაროზსაც-კი შეებრალებოდნენ და ოსმალთ გული-კი ვერც მათმა უსუსურობამ მოალბო. იგინი მხეცზედ უფრო გულ-ქვანი არიან.

ამ ამბის მსმენელს ველარ შესძლებია ყურის გდება სასწაულით გადარჩენილ საბრალო დედისა. მას ძალა არა ჰქონია, სიტყვით მაინც დაემშვიდებია იგი და თვალ-ცრემლიანი გამოვარდნილა გარეთ.

— არა ნაკლებ სამწუხარო ამბავს მოგვითხრობს სოფიის „დღიური“.

„ოკდომბრის 17-ს, დილით, მაკედონელ მუშას მოუვიდა ამბავი მამის მოკვლისა ოსმალთა ხელით. საბრალო ჰკუიდან შესცდა; გამოვარდა ვიტოშის ქუჩაზედ და დაიწყო ყვირილი:

„ძმანო მაკედონელნო, შემოკრბით! ჩვენი სამშობლო სისხლით ირწყვის; ოსმალნი მუსრავენ ჩვენს დედ-მამასა, დებსა, ძმებსა და შვილებს“!..

ქალაქის დარაჯებმა საგიჟეთში წაიყვანეს თურმე იგი.

საფრანგეთი დიდი მითქმა-მოთქმაა თურმე ამ ჟამად მთელს პარიჟის საზოგადოებაში და მასთან ერთად იქაურ ჟურნალ-გაზეთობაშიაც, ერთ არა-ჩვეულებრივ ამბავის გამო.

პარიჟი ხომ ბევრ რითიმეა განთქმული და, სხვათა შორის, თავისს მუსიკითაც: დიდი და პატარა თეატრები, საკონცერტო დარბაზები, სხვა-და-სხვა სამუსიკო დაწესებულებანი, მდიდრული კაფე-შანტანები,—ყველა ეს იმდენად ხშირია პარიჟში, რომ ამ მხრივ მას არც ერთი ქალაქი არა შეედრება; მუსიკას პარიჟელების დროს-გატარებაში ერთი უპირველესი ადგილი უკავია; მარტო ორკესტრები რომ მივიღოთ სათვალავში, დავრწმუნდებით რომ მათში 2000 მემუსიკე ითვლება, და ყველანი მხოლოდ თავიანთ ხელობით სცხოვრობენ.

საფრანგეთში, და მთელ ევროპაშიც, მუშების და ყოველ გვარ ხელოსნების გაფიცვა, მუშაობის შეჩერება, როგორც ყველამ უწყის ძლიერ ხშირია; მაგრამ მემუსიკეთა გაფიცვა თვით პარიჟელებსაც-კი არას დროს არ გაუგონიათ, ამიტომ ადვილად წარმოსადგენია, რამდენად გაჰკვირდნენ და განცვიფრდნენ, როდესაც ერთს დილას, ამ სამ კვირის წინად, გაზეთებში ამოიკითხეს greve de musiciens—მემუსიკეთა გაფიცვის შესახებ. იმ 2000 კაცში, რომელიც ორკესტრებში უკრავს, 1600-ს ამხანაგობა შეუდგენია, სინდიკატი დაუარსებია ცნობილ კომპოზიტორის გუსტავ შარპანტიეს მოთავეობით; ახლა ამ სინდიკატს ერთხმად უარი განუცხადებია დირექტორებისათვის: მანამ ჯამაგირს არ მოგვიმატებთ, მუსიკას არ დავუკრავთო; დროა შეიგნონ დირექტორებმაო,—აცხადებს სინდიკატი,—მემუსიკეთა გაჭირვებული ყოფა-ცხოვრება; დროა მოწესრიგდეს უფრო მეტის სიმართლით დამქირავებელთა და დაქირავებულთა ურთი-ერთობა; უფრო მეტის სიმართლით უნდა განაწილდეს ხოლმე ის აღებული ჩვენის ჯაფითა და ცოდნით ყოველ-დღიური შემოსავალი, რომელიც დღეს მხოლოდ დირექტორებს უსქელებს ჯიბეებს. ჯამაგირების დანიშვნა დირექტორების ნებაზე-კი არ უნდა იყოს დამოკიდებული, არამედ სინდიკატთან შეთანხმებით უნდა ხდებოდეს. სოლისტებს დღეში 6 ფრანკი უნდა ჰქონდეთ, პირველ პარტიის შემასრულებელთ 5 და მეორისას—4; რეპეტიციებსა და დილის წარმოდგენების დროს განსაკუთრებული სასყიდელი უნდა ეძლეოდეს ყველას.

დირექტორებს ამაზე ჯერ-ჯერობით ცხარე უარი განუცხადებიათ. მაგრამ 1600 კაცის ნაცვლად სხვების შოვნა მეტად ძნელია, და გარდა ამისა მოსალოდნელიცაა, რომ ამ გაფიცულებს სხვებიც მიემხრობიან; საქმე გამწვავდება... ქუჩებში მანიფესტაციები, რევოლიუციონური სიმღერები, წითელი დროშები, თეატრების აოხრება, ჯართან შეტაკება,—ყველა ეს რაღა თქმა უნდა, არ მოხდება, მაგრამ პარიჟელებისთვის ეს ხომ უფრო საინტერესოა, ვიდრე უმუსიკოთ დროს გატარება, მით უმეტეს, რომ ეს გაფიცვა, ალბად, დიდხანს გასტანს, რადგან ეს მემუსიკენი რამდენსამე კვირასა და თვესაც ადვილად გაიტანენ თავს იოლად. მათ შორის ბევრს კერძო გაკვეთილებიცა აქვს, ბევრი კაფე-შანტანებში იქნება დიდის სიამოვნებით მიღებული და, გარდა ამისა, სინდიკატიც მოახდენს „მუსიკალურ მანიფესტაციებს“, ე. ი. დიდ კონცერტებს გამართავს, რომელზედაც პარიჟის საზოგადოება, თეატრებს მოკლებული, მრავლად დაესწრება. მაშინ ვნახავთ, ვინც გაიმარჯვებს,—სინდიკატი, თუ თეატრის დირექტორები.

საფრანგეთი. გაზ. „Inb. Belge“-ის პარიჟელი კორესპონდენტი იუწყება:

„საპარლამენტო წრეებში ბევრი ლაპარაკი გამოიწვია ვალდეკ-რუსსოს აზრმა კონგრეგაციათა შესახებაო, ყოფილ მინისტრ-პრეზიდენტს სხვა-და-სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებთან ჰქონოდა ბაასი და ეთქვა, რომ კომბის მოქმედებას სავსებით არ თანავუგრძნობო. ამბობენ, ვალდეკ-რუსსო ამ საგნის შესახებ ან წერილობით, ან სიტყვიერად საჯაროდ განაცხადებს, კომბის აზრს არ ვეთანხმებიო. გარდა ამისა რესპუბლიკანელთა დასის უმეტეს ნაწილს უხერხულად მიაჩნია, რომ ჟორესს ისე უჭირავს თავი, თითქოს მთავრობის მომხრეთა ხელმძღვანელი და ცენზორი იყოსო.

ავსტრია-უნგრეთი. გაზეთ „Temps“-ს ვენიდგან ატყობინებენ,—დოქტორ მიხაილოვსკის, მაკედონიის კომიტეტის პრეზიდენტს, რომელსაც ცონჩევიცს ემხრობა, ვენაში ცოტა არ იყოს, გულცივად მოეკიდნენ უმაღლესი წრეებიც და საზოგადოებაცაო. მიხაილოვსკის განზრახვა ჰქონდა კონფერენცია მოეხდინა მაკედონიის მიმდინარე საქმეთა შესახებ. ეხლა პრეზიდენტს განუზრახავს ამავე აზრით ლონდონი, პარიჟი და ბერლინი მოიაროს.

ვენაში, როგორც ეტყობა, უფრო ეთანხმებიან ბორის სარაფოვის აზრსა,—„მაკედონია მაკედონიისათვისაო“, რადგან ავსტრია-უნგრეთის პოლიტიკისთვის იგი უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მიხაილოვსკი-ცონჩევის პროგრამმა „დიდის ბულგარიის“ აღდგენისა.

იტალია. გაზ. „Tribuna“ იუწყება მიღის მახლობლად მომხდარ შეტაკების გამო, ოსმალეთის მთავრობისათვის ჩვენ ისეთი მიზეზი არ მიგვიცია, რომ განსაკუთრებული საწინააღმდეგო ნოტა დაუგზავნოს უცხო სახელმწიფოებს, რადგან იტალიას არავითარი განზრახვა არა აქვს ოსმალეთის სამფლობელოს შეეხოსო; მხოლოდ ამ შემთხვევაში იტალიის მთავრობა იძულებული შეიქნა ბოლო მოეღო მეწამულ ზღვაზე მეკობრეთა თავხედობისათვისაო.

მაკედონია. „Uossiche Zeitung“-ის სიტყვით, გენერალ ცონჩევს გამოუთქვამს ის აზრი, რომ მაკედონიაში ოსმალთა და მეამბოხეთა ომი გასტანს მთელს ზამთარს და გაზაფხულზედ კიდევ უფრო გაძლიერდებაო. მოძრაობა მაკედონიაში, თუ მეტს არა, მთელს წელიწადს მანც გასტანსო.

„ოსმალებიო, ამბობს გენერალი ცონჩევი, განსაკუთრებულ სამხედრო მოძრაობის გეგმით ხელმძღვანელობენ, ყოველთვის ერიდებიან მეამბოხეებთან პირდაპირ შებმას, რადგან სურთ უცხო ქვეყნებმა არ მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება და ამბოხება თავისებურად ჩააქრონო. მაკედონიის მცხოვრებნი საყოველთაოდ მშვენივრად მოქმედობენ. იგინი მეამბოხეებს აწვდიან ყოველგვარ საჭირო სურსათს. მხოლოდ რაზლოგის ოლქის მცხოვრებნი (პირინეის ქედიდან აღმოსავლეთით) ყველაზედ უკეთ არიან შეიარაღებულნი, არავითარ მონაწილეობას არ იღებენ აჯანყებაში და არც სხვას თანაუგრძნობენ; ეს-კი მეტად აზარალებს საერთო საქმესაო.

ცონჩევი დარაჯთა თანხლებით, სოფიაში მისულა. მაკედონელ მეამბოხეთა მეორე სარდალი დონჩო, რომელიც მაკედონიიდან კიუსტენდილში 70 მეამბოხით მივიდა, შეიპყრეს, მაგრამ ხალხმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია მთავრობას და სოფიაში არ გააგზავნია იგი.

სხვა-და-სხვა წერილები

ივერიის (ქართველთა) მონასტერი ათონს.

მამანი ჩვენნი მთასა ამას თაყვანის-სცემდეს (იოან., 4, 20).

შური დუთის სახლისა, რომელია ქართველთა ერისათვის ათონის ივერიის დიდებული ლავრა, მაიძულებს, ვითარცა საქართველოს შვილსა, წარმოვსთქვა რამდენიმე სიტყვა შესახებ ხსენებულის მონასტრისა.

მრავალ მონასტერთა შორის, დაფუძნებულთა ქართველთა ერთაგან სამშობლოს გარედ, ქვეყნის ყოველს კიდეს, აზიასა, აფრიკასა და ევროპაში, რამდენიმეს აქამომდის შერჩენია სახელი ქართველთა, მაგალ., იერუსალიმში ჯვარის მონასტერს და ათონის მთაზედ ივერიის ლავრას. ეს უკანასკნელი მეცხრამეტე საუკუნის დაწყებამდის წარმოადგენდა ქართველთა ერის სარწმუნოებრივს მტკიცე სვეტს და შეურყეველს გოდოლს მართლ-მადიდებლობისას და ეროვნულის ძლიერების ძეგლსა; აქ დასრულდა თარგმანი ქართულს ენაზედ საღმრთო წერილისა და საეკლესიო დუთის მსახურების წიგნებისა. კეთილმოწყობილი მოწყობა და დაცვა მამა-მამათა სალოცავთა და სიწმიდეთა არის ბუნებითი საღმრთო მოთხოვნილება და მოვალეობა ყოველის ერისათვის, ვითარცა მორწმუნეთა, ეგრეთვე ურწმუნოთათვის. სამარიტელი დედაკაცი, რომელიც განგებითა დუთისათა შეხვდა ქრისტე მაცხოვარს იაკობის წყაროზედ, როდესაც დარწმუნდა, რომ მასთან მოსაუბრე არის წინასწარმეტყველი, მსწრაფლ კითხვიდა მას: „მამანი ჩვენნი მთასა ამას თაყვანის-სცემდეს, და თქვენ ურიანი იტყვით, ვითარმედ იერუსალიმს არს ადგილი, სადა ჯერ არს თაყვანისცემა“. მაშასადამე, ეს დედაკაცი უპირველეს ყოვლისა ზრუნავდა და შფოთავდა მამათა სალოცავის ადგილისათვის. სწერს აგრეთვე დავით წინასწარმეტყველი (121 ფსალ.): „იკითხეთ მშვიდობა იერუსალიმისა“.

ჩვენ, ქართველთა ერისათვის იერუსალიმად და წმ. მთად შეიქმნა ივერიის ათონის მონასტერი. ეს მონასტერი დაფუძნებულია ქართ. წმ. მამათა მეათე საუკუნეში, აღშენებულა სამაგალითო თავგანწირულებითა, სისხლის ოფლითა, ცრემლთა მდინარებითა და დაუშრომელის მოღვაწეობითა, ქართველთა მეფეთა, დიდებულთა და ერის საშუალებითა და შემწეობითა. რომ მონასტერი იგი არს სამკვიდრებელი ქართველთა მამათა, ამას ქვანიცა ღაღადებენ. მეცხრამეტე საუკუნის დაწყებამდის, როგორც ვსთქვით, ეს მონასტერი იმყოფებოდა ქართველთა ძმათა მფლობელობაში, ხოლო, როდესაც შემცირდა რიცხვი ქართველთა მოღვაწეთა ამ ლავრაში, უბედურ ისტორიულ გარემოებათა გამო, მაშინ იგი ძალმომრეობით დაიპყრეს ბერძნის ბერებმა.

მოშალეს ქართული წარწერანი ეკკლესიის კედლებზედ, წმ. ხატებს და სურათებზედ. ეხლაც თავისუფლად შესვლა ამ მონასტერში მოსალოცავად წმ. ხატის უ. დ. წმინდისა ღმრთის მშობლისა მოსპობილი აქვს ქართველთა ძმათ; და ამავე დროს მთელი საუკუნის განმავლობაში ბერძენთა ბერები სარგებლობენ იმ საეკკლესიო მამულებით, რომელნიც შეუწირავთ ქართველთა მეფეებს და დი-

---

შუა კარები და ტიტო გავარდაშვილმა საიდგანღაც გიტარა შემოიტანა, მივიდა ნიკოსთან, მოწიწებით გაუღიმა და უთხრა:

— ბატონო ნიკო! როგორცა სჩანს და ვხედავთ, თქვენ ყველაფერი გიკოდნიათ, მე ვფიქრობ მუსიკაშიაც დახელოვნებული იქნებით.

ნიკო წამოდგა, ზდილობიანად გიტარა ჩამოართვა და უპასუხა:

— დიახ, ვიცი რაღაც საწყალ-პუროდ, რითაც-კი შემიძლიან, ვეცდები გაგართოთ, გასიამოვნოთ ბატონებო და გასათხოვარ ქალს გადაჰხედა ისეთის მწველი თვალებით, თითქოს ეუბნებოდა:

„ყველაფერს შენთვის ჩავდივარ, ჩემო გვრიტიკო, ჩემო იმედო, ჩემო ამომავალო მზე და მთვარეო“.

მიტრო სულ თრთოლამ და ცახცახმა აიტანა, იმას წარმოუდგა, რომ ეს ერთი ნამცეცა ნიკო ფერშალი, რაღაცა მანქანებით, თანდათან მაღლდებოდა, პირისახე უმშვენიერდებოდა, მისი ტანისამოსიც რაღაც სადღესასწაულო შეხედულობას იღებდა; სამაგიეროდ, თითონ დაბლდებოდა, სახე უმახინჯდებოდა, უფსკრულში ვარდებოდა; მისი ბუზმენტები უბრალო თოკათ იქცა, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი და მასრები, სპილენძისა და თუჯის ფერს იღებდა, მისი ორ თუმნიანი ჩოხა ძონძებს არაფრითა სჯობდა.

ამ საშინელ ფიქრში რომ იყო მიტრო, ნიკომ გიტარა მოჰმართა და გაჰკრა სიმებს არტისტულად; ყველანი სმენად გარდაიქცნენ. ზაფრაძემ გიტარას სული ჩაუდგა. ეს პროვინციული დასაკრავი იარაღი ისე ააჟივლხივლა, ააკვნეს-ააჭიკჭიკა, რომ მსმენელნი თავდავიწყებაში შეიყვანა. რაღაც არია დაუკრა ოპერიდან და თან თავისს მოხდენილის ბარიტონით ისე ტკბილად დაამღერა, რომ არა თუ მასპინძელნი, არამედ მელა და მიტროც ნეტარებდნენ, თუმცა ამ ნეტარებაში შხამ-გესლი, მტრობა და მოუნელებელი შურიც ერია.

გაათავა თუ არა დაკვრა და სიმღერა, აღტაცებულმა ვაშამ უხვად დააჯილდოვა მიტროს მაყარი.

მეორედ ნიკომ ქართული მელოდია დაუკრა და ზედ დაამღერა შემდეგი:

ბულბული ვარდს მაშინ დაჰყეფს,
როცა ეშხით მთვრალია,
მერცხლის ტკბილი ჭიკჭიკი,
ვაზაფხულის ბრალია,
მე თუ გიმღერ მშვენიერო,
ეს სულ შენი ბრალია,
ყველა სცდება, ვინც რომ ჩემზე
ამ მღერისთვის მწყრალია“ და სხვა.

სიმღერის სიტყვები მიტრომ თავის თავზე მიიღო, ველარ მოითმინა, სწრაფად წამოიჭრა და მიაყარა ჯორის ტლინკებივით ნიკოს თითოოროლა რუსული სიტყვები და წამლების სახელები ლათინურად:

— შტო კაკოი შლუში, შტო ვი მნოგო ბალთაიშ, ახტი სამუბირაიცა, ხინინი მურიატიცი, ასოლ ბორიცი და ძინცი აქსიდაცი!

ამ სცენამ პირველ წუთს ყველანი გააშეშა, მაგრამ საპატარძლომ ველარ შეიკავა თავი, წასკდა სიცილი და კისკისით მეორე ოთახში გავარდა; იმას თან გაჰყვნენ დედა მისი და სხვა ქალებიც, მაგრამ ფოფოდიამ ხუთიოდე წუთის შემდეგ ისევ შემოიყვანა ეს ხალხი და ყველანი თავთავის ადგილას დასხდნენ. რომ მაგრამ თავიდან აეცილებინა ეს უხერხულობა, ნიკო ადგა და გიტარა ნინიჩკას მიაწოდა.

— იმედია, თქვენც გვასიამოვნებთ, ბატონო, მე ხომ დავუკარ, რაც შემეძლო, ახლა თქვენი რიგია; ხომ მოგეხსენებათ, ვალი და სესხიაო,—უთხრა ნიკომ აღტაცებულის სახით.

ქალმა გიტარა ჩამოართვა და ისე ნაზად, ისე ნარნარად გადახედა, რომ ნიკო კინაღამ ჰკუაზედ შეიშალა. საზოგადოდ ნიკო ძალიან გრძნობიერი კაცი იყო, მასთან აჩქარებული ბუნების პატრონი. ამ მოელვარე და მოკაშკაშე ნარნარმა თვალებმა ნიკოს ჟრუანტელი მოჰგვარა, რაღაცამ ელექტრონულ ძალასავით დაურბინა მთელს არსებაში, მიხვდა გულს და ძალაზე ეატოკა. ზაფრაძე, თვისდა უნებურად ქალის გვერდზე დაცლილ სკამზე ჩამოჯდა.

— აბა, ნინა! მასახელე, ძია, ვინძლო სტუმრებთან არ შემარცხვინო,—უთხრა ქალს მასწავლებელმა ტიტომ.

ნინამ დაუკრა და დაამღერა ჯერ ქართულად, „მაშ გამარჯვება, ჩემო სიცოცხლევ!“ მერე რუსულად „глядя на лучъ пурпунаго заката“. ნიკო ორჯერვე მეორეს ეუბნებოდა და ძლიერ იყო გახარებული, რომ ქალი ნასწავლი სჩანდა. დიდის სიყვარულითა და აღტაცებით უყურებდნენ ნინას მშობლები ამ ახალგაზდებს, ერთად მჯდომარეთ და მომღერალთ, ხოლო მიტრო და მელა დარდისაგან დორბლებსა ჰყრიდნენ.

X

სტუმარ-მასპინძელნი აიშალნენ, ზოგნი ოთახში შევიდნენ, ზოგნი აივანზე გავიდნენ, ზოგნი ძირს ჩავიდნენ. მიტრო, მელა და მაჰანკალი აივანზე დადგნენ, და რაღაცაზე გაცხარებული ბაასი შეექნათ. ნიკო და გავარდაშვილი-კი ისევ დარბაზში დაჩნენ.

— ვაშა, ვაშა, ბატონო ნიკო! ერთი მითხარით, გეთაყვა, თქვენ ცოლშვილი გყავთ?

— არა,—მიუგო ნიკომ.

— მართლა დიდათ სასიამოვნოა, დიდათ სასიამოვნოა!—და ცოტა ხანს ჩაფიქრდა. მერე კიდევ მიუბრუნდა ეს თქვენი სანეფო მართლა თქვენი ამხანაგია? მართლა ფერშალია?

— მაგას რად მკითხავთ, თქვენ განა ეჭვი გაქვთ?

— დიახ, ეჭვი მაქვს და, მგონი, არცა ვსტყუვდები. მეტის-მეტი უვიცი ყოფილა; ფერშალი და მაგრე რუსულის მოლაპარაკე? это какой-то самодуръ, а не фельдшеръ. ესეც რომ არ იყოს, აი ახლახან მითხრა ერთმა აქაურმა გლეხმა, რომ ჩვენი სასიძო თქვენი სტოროჟი ყოფილა და არა თქვენი ამხანაგი ფერშალი. მისი ჩაცმულობა, მისი მიხვრა-მოხვრა, ლაპარაკი აშკარად ამტკიცებს მისს ლაქიობას.

ნურას უკაცრავად, ჩვენ მაგას ქალს ვერ მივსცემთო, დაასრულა ნინას ბიძამ ტიტო გავარდაშვილმა თვისი ლაპარაკი. ნიკოს გულმა-კი ბაგა-ბუგი შექმნა: მეც ეს მინდოდაო, მეც ეს მწყუროდაო, ფიქრობდა გულში გახარებული ნიკო.

— თქვენი დისწული სად არის ნასწავლი?

— წმინდა ნინოს ოთხ-კლასიანი „ზავედენია“ დაასრულა წელს ქ. წალკოტში; იცით რა გითხირათ, ბატონო ნიკო?

— ბრძანეთ.

— რაღა ბევრი გავაჭიანუროთ, მე პირდაპირი კაცი ვარ, მოკლედ გეტყვით და მკაფიოდ. ეს თქვენი სანეფო კაცი, ვინც უნდა იყოს, თუნდა პროფესორი, ღმერთმა თავისთვის ამყოფოს და თქვენ-კი ჩვენი სიძე გახდით და თვალი თვალში გაუყარა.

ნიკოს ალმურმა გადაჰკრა.

— მერწმუნეთ არ წააგებთ: ეს ოჯახი გვარიანად შეძლებულია, ვაჟი არა ჰყავთ, ეს ერთად ერთი ქალია მაგათი ნუგეში და იმედი და არ გვინდა ურიგო კაცს ჩავუგდოთ ხელში.

— გმადლობთ, ბატონო, ყურადღებისათვის. ასეთ მშვენიერ ქალს უფრო კაი კაცი წაიყვანს, განა ცოტანი არიან სემინარიელები?

— მერე და თქვენ, ფერშლები, რა იმათზე ნაკლები ხარ?

— ოჰ, ბატონო, სად ჩვენი რენომე და სად სამღვდელო კაცისა! ჩვენს პაწია ცოდნას მედიცინაში, ჩვენს უანგაროდ ოფლის ღვრას გაჭირვებულის სასარგებლოდ იმდენი ფასი არ აქვს ხალხის თვალში.

მე-კი სულ სხვა შეხედულობის კაცი ვარ. მე ფერშალს არავისზე ნაკლებ არ ვაყენებ; ღრმადა მრწამს თქვენი ხელობის სარგებლობა ცხოვრებაში. მე იმედი მაქვს, რომ თქვენი გონებრივის მომზადებით, პრაქტიკულ ცხოვრებაში ფეხს არსად წაჰკრავთ. თქვენ თამამად შეგიძლიანთ სამსახურს თავი დაანებოთ, შეირთოთ ჩემი დისწული, ჩაიბაროთ ნოტარიუსის წესით თქვენი წილი მამულ-დედული და იცხოვროთ აქ, ჩვენთან ერთად, ამ მდიდარ ახალ-შენში. თუ ყოჩაღათ მოიქცევით, პრაქტიკაც გექნებათ და, როგორც სოფლის ინტელიგენტი, სოფლის, კეთილ-დღეობისათვისაც იზრუნებთ ჩვენთან ერთად. ოღონდ გული-კი გულობდეს, საქმე ძლიერ ბევრი გექნებათ.

სულითა და გულით გმადლობთ, ბატონო ტიტო, ასეთის დიდი ყურადღებისათვის, თქვენს გონივრულ წინადადებაზედ უარს ვერ ვიტყვი, მართალია, მაგრამ ჯერ თქვენ დისწულსა ვკითხოთ, იქნებ ჩემი ამხანაგი მოსწონს და არა მე.

— აბა, რას ამბობ, ყმაწვილო, თქვენგან არ მიკვირს! რის ამხანაგი, რის ფლავი, რის ბოზბაში?! გამოტყდით, რომ ის თქვენი სტოროჟია? ხა-ხა-ხა!—და თვალებში შეაცქერდა; ნიკომ თავი დაბლა დაჰხარა მორცხვად. ტიტომ ახლა ყველაფერი იცოდა ადგა და თავისიანებთან გავიდა მეორე ოთახში. ნიკო აივანზე გამოვიდა და ბედოვლათიანთ კარელებს შეუერთდა.

ტრ. რამიშვილი.

(შემდეგი იქნება)

დებულებს სასარგებლოდ ქართველ მოღვაწეთა ათონზედ.

წარსულს ზაფხულს პროფ. ალექ. ხახანაშვილმა მოიარა ათონის მთა, და აქვე მდებარე ივერიის მონასტერი, და ქართველ ძმათა სავანეც. ამ ქართველ ძმათა გამოცხადებით მის წინაშე თვისი შევიწროებული მდგომარეობა და სურვილი შერიგებისა ივერიის ბერძენთა ბერებთან. ჭეშმარიტად სასურველია ძმობრივი შერიგება ბერძენთა და ქართველთა ბერებისა, სიტყვისაებრ ფსალმუნთ-მგალობელისა: „აჰა, ესერა რამე კეთილ, ანუ რამე მშვენიერ, არამედ დამკვიდრება ძმათა ერთად. ფსალ. 132,1). პირობანი, რომლითაც განუზრახავთ ქართველთა ძმათა შერიგება ბერძენთა ბერებთან, გამოცხადებულნი ა. ხახანაშვილის მიერ პეტერბურგის უწყებებში (№ 252), არიან შემდეგნი: ა) ქართველი ბერები ძმებად მიიღონ ივერიის ლავრაში, ვითარცა კანონიერნი მემკვიდრენი ამ მონასტრისა. ბ) თუ ივერიის ლავრაში ვერ მიიღებენ ძმებად, რადგანაც ამ ლავრაში ზოგადი ცხოვრება აღარ არსებობს, იცნონ ქართველი ბერები ძმებად იმ პირობით, რომ იცხოვრონ მათ ისევ დღევანდელს თავისს წმ. იოანე მახარებლის სენაკში. რა პირობით, ეს-კი აღარ არის გამოთქმული; და გ) თუ უთუოდ ამას ბერძნები არ მოინდომებენ, ის მაინც იწებონ, რომ წმ. იოანე ღვთის მეტყველის სენაკი გამოაცხადონ სავანედ, (სკიტად), სავანეთა უფლებითა.

გვაოცებთ ახლა, თუ რამდენად სასახელო და სასარგებლონი იქმნებიან და არა დამამცირებელნი ჩვენის ეროვნულის ღირსებისათვის, ეს ზემოხსენებულნი პირობანი.

უკეთუ პირველის მუხლის მოთხოვნილებისაებრ ქართველნი ძმანი შევლენ ივერიის ლავრაში, ვითარცა კანონიერნი მემკვიდრენი ამ ლავრისა, ეს ფ'დ საქადელია და ღირსეულიც იქმნება, მხოლოდ მაშინ მიუცილებელად საჭირო იქმნება, რომ წინამძღვრად ამ მონასტრისა უოველთვის დაინიშნებოდეს ქართველთა ძმათაგანი და აგრეთვე ეკონომოსი, გამგებელ მონასტრის ქონებისა ქართველიგე აღმოირჩეოდეს, და ქართველთაგანივე იქმნებოდეს გამგებლად სამონასტრო მამულებისა, რომელნიც მდებარე არიან საქართველოში და რუსეთში. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველნი ძმანი უოველთვის დევნულ და დაჩაგრულ იქმნებიან, ვითარცა მცირედნი რიცხვითა, რომლისა მაგალითებსა გხედავთ წარსულს საუკუნოებში. ხოლო რაც შეეხება მეორე და მესამე მუხლების პირობათა, იგინი, ჩემის აზრით, სასარგებლონი არ იქმნებიან ქართველთა ძმათათვის. აწინდელი ქართველთა სავანე, ბერძნებისაგან კელიად წოდებული, წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახელზედ დაფუძნებული, რომ გამოაცხადონ კიდეც თავისუფალ სავანედ (სკიტად), მაინც სრულს თავისუფლებას ვერ მიანიჭებს ქართველთა ძმათა, რადგანაც წესდებულებისაებრ ათონის პროტატის (მონასტრების საბჭოსი) რომელშიაც სამი ნაწილი ბერძნების მონასტრების წინამძღვარნი იღებენ მონაწილეობას და ერთი ნაწილიც სხვა-და-სხვა ტომისა, ვალდებულ იქმნებიან ქართველნი ძმანი უოველს წელს აძლიონ შეწერილი გადასახადი ხარკი ფულითა ივერიის ლავრასა, და აგრეთვე ქართველთა ძმათა უფლება არ ექმნებათ, კურთხევისა იერო დიაკონად, ანუ მღვდელ-მონაზონად თვინიერ თანხმობასა ივერიის ლავრის წინამძღვრისა.

იმავე ათონის მთაზედ არსებობენ რუსთა სავანენი, წოდებულნი სკიტებად, მრავალ რიცხოვანნი და მილიონის შემძლებელნი, რომელნიც ექვემდებარებიან ბერძნების მონასტრებსა, მაგალ. წმ. ანდრია მოციქულის სკიტი ემორჩილება [illegible] რძენთა ვატოპედის მონასტრსა და [illegible] წმ. ილიას სკიტი ემორჩილება [illegible] უსებისავე კრატორის (ყოვლის მპ[illegible] ერძენთა პანტო[illegible] მეორე მუხლის პ[illegible] [illegible]ტაბელის) მონასტრსა. ძნსთა ბერებ[illegible] [illegible]ირობით რომ შეურიგდნენ ბერ[illegible] ქარ[illegible] ქართველთა ძმათ, მაშინ მოესპობათ [illegible]ველთა ძმათა ის 3,000 მანეთი, რომელიც ეძლევათ ამ უკანასკნელთა ყოველ წელს რუსეთის მართველობის განკარგულებითა იმ მამულების შემოსავლიდან, რომლითაც სარგებლობენ ივერიის ლავრის ბერძენთა ბერები რუსეთში და საქართველოში და ამგვარის შერიგებითა ქართველნი ძმანი არ იქმნებიან დაკმაყოფილებულ არცა უფლებებითა და არცა ნივთიერად; და რაც საშუალება აქვსთ ცხოვრებისა, ისიც მოესპობათ. და რომელი ღონისძიებით იცხოვრებენ? განქრნენ, წარვიდნენ ის პირველ ქრისტიანობის საუკუნენი, როდესაც მრავალნი წმ. მოღვაწენი არ აღადგენდენ თვისს ხორცთა, არამედ იყვნენ მძოვარნი, აკიმიტნი და განდეგილნი.

ამისათვის სასურველია, და კანონიერი და ეროვნული ღირსების შესაფერიც იქმნება, რომ ქართველნი ძმანი სრულის უფლებით მიღებულ იქმნენ ივერიის ლავრაში, ვითარცა თვისს კანონიერს სამკვიდრებელში, და არა ხიზნად დროებით შეფარებულნი.

კარგად ახსოვს ქართველს მკითხველ საზოგადოებას გაზეთ „ივერიი“-ს ნომრებში დაბეჭდილი წერილები, ქართველთა ძმათაგან მოწერილნი სექდემბერში 1899 წელს, როდესაც მიუხდნენ ქართველთა ძმათა სავანეში ივერიის მონასტრის ბერძენთა ბერები შეიარაღებულნი და კინაღამ სისხლი არ დასთხიეს ქართველთა სავანეში, იმისთვის, რადგანაც ქართველთა ძმათა განეზრახათ უბრალო ფიცრის ქოხის აშენება შიგ შის დასწყობად, თვინიერ ნება-რთვისა ივერიის დავრისა და ამ გვარი მაგალითები პირველი არ არის. დასამტკიცებლად ამისა განიხილეთ ათონის ივერიის მონასტრის 1074 ხელთნაწერი, დაბეჭდილი და გამოცემულ ქართული სეკედსით მუზეუმისაგან 1901 წელსა, დი იქიდგან იცნობთ, თუ რაოდენი შევიწროება გამოუვლიათ ქართველთ ძმათა ბერძენთა ბერებისაგან.

ამ განზრახულს მორიგებაში ქართველთა და ბერძენთა ძმათა შორის სრულიად კანონიერი იქმნება, რომ ათონის ქართველთა ძმათა თავისი მოაზრებით არ დააბოლოვონ ეს საქმე, არამედ რჩევითა და წინამძღოლობითა ქართველთა მღვდელმთავრებისა, რათამცა სრული ძალა და კანონიერი საფუძველ აქონდეს ამ მორიგებას მომავალ ჟამთათვის.

მხცოვანი.

თეატრი და ხელოვნება

8 ნოემბერს დანიშნულია საოპერო წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით, სახელდობრ მომავალ ქართულ დედათა სკოლის სასარგებლოდ, წარმოდგენილი იქნება ოპერა „ლაკმე“, მუსიკა დელიბისა და „პაიაცები“, მუსიკა ლეონკოვალოსი. შემოსავალი წარმოდგენისა ისეთს საქმეს უნდა მოხმარდეს, რომელსაც ჩვენი საზოგადოება დიდის თანაგრძნობით ეკიდება და აგერ, რამდენი ხანია, სულის სიმწარით მოელის განხორციელებას. სკოლა განზრახულია დაარსებულ იქმნას მომავალ ენკენისთვიდან. ყოველ ამის გამო სრული იმედია, რომ 8 ნოემბრის წარმოდგენას ქართული საზოგადოება მრავლად დაესწრობა და თავის წვლილს ამ ყოვლად საჭირო საქმისათვის არ დაიშურებს: თვითონაც ისიამოვნებს და საქმესაც დაეხმარება.

გუშინწინდელ ქართულ წარმოდგენის რეცენზია დღეს ვერ იბეჭდება, რადგან ადგილი არ გვქონდა დღევანდელს ნომერში. რეცენზია ხვალ დაიბეჭდება.

დღეს, 2 ნოემბერს, სახალხო თეატრში დანიშნულია წარმოდგენა. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ქართულ დრამატიულ დასის მსახიობნიც; წარმოდგენილი იქნება ავ. ცაგარლის 4 მოქმედებიანი კომედია „როგორც მოხვალ სვინაო, ისეთი წახვალ შინაო“.

---

9 ნოემბერს რკინის გზის თეატრში, რკინის გზაზედ მომუშავეთათვის დანიშნულია ქართული წარმოდგენა.

წერილი

რედაქციისამიმართ*).

ჩვენ, მოსკოვის უმაღლეს კურსებზედ მოსწავლე ქალებმა, გავიგეთ გაზეთებიდგან, რომ [illegible] დღესად ნაბოძები 2,000 მანეთი [illegible] რობამ განიზრახა გაუნაწილოს სტუ[illegible]დ-აზნაურ[illegible] დენტებს. აქედგან სჩანს [illegible] სდიებად სტუ[illegible] მოსწავლე ქალები ს[illegible] რომ ამ განზრახვით დატოვებულნი [illegible]ულებით უყურადღებოდ არიან სატ მა[illegible] და ეს სწორედ იმ დროს, როდე[illegible] [illegible] რიცხვი თვალ-საჩინოდ იზრდება; [illegible]რგელს, მაგალითად, მოსკოვში სწავლობენ [illegible] ქალები უმაღლეს კურსებზედ—ორი, საპედაგო[illegible]გიო კურსებზედ—ორი, კბილის საექიმოზედ—სამი. გარდა ამისა, არიან მოსწავლენი საფ[illegible]ლდორმინით, საბუხგალტერო კურსებზედ და კონსერვატორიაში. ამათგან სამი უმწეო[illegible] ქალი, მშობლებთა სიღარიბის გამო, შინაურებთაგან დახმარებას მოკლებულნი არიან და ამ ჩრდილოეთის ცივ, ჩვენებური სუსტი აგებულობის ქალთათვის ძნელად ასატან ჰავაში შევიწროებულად სცხოვრებენ. პეტერბურგში-კი უმაღლეს კურსებზედ მოსწავლე ქალები, როგორც ვიცით, ამაზედ მეტია. ამას გარდა არიან სხვა ქალაქებშიაც სამკურნალო სასწავლებელში, საზღვარ-გარეთაც და მაინც ყველა ეს ერთობ მცირედი ნაწილია სწავლა-განათლების მსურველი ქალებისა. ნუ-თუ ჩვენს დროში საჭიროა იმის განმარტება, რომ სწავლა-განათლება მარტო მამა-კაცის საკუთრებად არ უნდა ითვლებოდეს?!.. ჩვენ აქ, რუსეთის დედა-ქალაქში, ნათლად ვხედავთ, როგორის გულ-მტკივნეულობით და ყურადღებით ეკიდება აქაური განათლებული საზოგადოება უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქალების დახმარების საქმეს. ჩვენში-კი, არა-თუ დახმარებას და თანაგრძნობას, არამედ წინააღმდეგობასაც უწევენ ქალების განათლებას. ყველამ კარგად იცის რამდენი ზნეობრივი ტანჯვა უნდა გამოიაროს ქართველმა ქალმა ჩვენში, რომ წავიდეს სადმე განათლების დასამთავრებლად და თუ ამას დავუმატებთ კიდევ იმას, რომ უმეტესობას მატერიალური შეძლება არა აქვს, რადგანაც მშობლებიც უპირატესობას ყოველთვის ვაჟებს აძლევენ, მაშინ ყველას ცხადად შეუძლიან წარმოიდგინოს ჩვენებური ქალის მდგომარეობა, რომელსაც დღეს სულით და გულით სწყურიან განვითარება. ნუ თუ ჩვენს ქვეყანაში საჭირონი არ არიან განათლებული ექიმი-ქალები? ყველასთვის ცხადი უნდა იყოს ის ჭეშმარიტება, რომ ავადმყოფი ქალი უფრო ადვილად და გულდიად მიმართავს და აუხსნის თავისს მდგომარეობას ექიმ-ქალს, ვიდრე მამაკაცს; ჩვენში ეს ჭეშმარიტება უფრო შეგნებული უნდა იყოს, რადგანაც ქართველი ქალი, ბუნებით უფრო მორცხვი და მორიდებული, როგორც ყველამ იცის, არჩევს გადაიტანოს ძიმე სენი და ტანჯვები, ვიდრე ექიმმამაკაცს მიმართოს.

ნუ-თუ არ არიან საჭირონი ჩვენში განათლებული აღმზრდელი მასწავლებელი ქალები, ოჯახობა-მეურნეობის მცოდნენი და განათლებულ-შეგნებული დედები?!

ჩვენ, მოსწავლე ქართველ ქალებს, ის გვაქვს საწყენად, რომ ჩვენმა მოწინავე საზოგადოებამ დაივიწყა, რომ ქართველ ერის ნახევარი ქალთაგან შესდგება და ამისთანა დრმა მნიშვნელოვან კითხვაში სქესობრივი უპირატესობა მამაკაცებს მიანიჭა. მაგრამ მაინც ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ თავად-აზნაურობის გადაწყვეტილება საბოლოო არ არის და, რომ სამართლიანად გასჯიან ამ საქმეს და ყურადღებას მიაქცევენ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქალების მდგომარეობას.

მოსკოვში მოსწავლე ქართველი ქალები.

რედაქციისაგან: სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსკოვში მოსწავლე ქართველ ქალების საყვედური სიმართლეს არის მოკლებული და მათი საჩივარი, ვითომც „ჩვენის საზოგადოებისაგან მოსწავლე ქალები სრულიად უყურადღებოდ არიან დატოვებულნი“, უსაფუძვლოა. ამას ცხადად დაინახავენ თვით ეს ქალები, როდესაც შეიტყობენ ამის შესახებ მოსაზრებას იმ კომისიისას, რომელსაც მარშან ოქდომბერს თავად-აზნაურ[illegible]მ მიანდო განხილვა ‹მალლესად ნაბოძები ფულის უკეთ მოხმარებისა. „ჩვენის აზრით“, ნათქვამია, იქ, უფრო სასურველი და სა[illegible]არგებლოც იქნება უმაღლესად ნაბოძების ორი ათასის თუმნით დაარსდეს ყოველგვარ, უმაღლესს თუ საშუალო სახელმწიფო სასწავლებლებში—ქალთა და ვაჟთათვის—მთელი რიგი სტიპენდიებისა“. ეს მოსაზრება თავის დროზედ გამოცხადებული იყო ჩვენს გაზეთებში, და თუ მოსკოვში მოსწავლე ქალებს ვერ ამოუკითხავთ, ბრალი მათივე უნდა იყოს და არა სხვისა. დასასრულ ვურჩევთ მოსკოვის ქალებს მეტი დრო მოანდომონ ქართულ ჟურნალ-გაზეთების კითხვას, თუ სურთ მომავალში აიცდინონ თავიდგან მს[illegible]ვანი ამგვარივე შეცდომა.

*) „ცნობის ფურცლის“ რედაქციას ვთხოვთ გადაბეჭდოს ეს წერილი თავის გაზეთში.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

31 ოკდომბერი

ხარკოვი. ერობის შეცადინეობით ხარკოვის მაზრაში შე[illegible]დგებიან ტელეფონის მოწყობას.

პარიჟი. პეტერბურგის ერთს გაზეთში დაბეჭდილ[illegible]ა მინისტრ დელკასეს წინააღმდეგ წერი[illegible]ლი, რომელსაც საფრანგეთის პრესამ ო[illegible]ფიციალური ხასიათი მისცა და სხვა-და-სხვა მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამ წერილის საპასუხოდ „Correspodance Politique“-მ დაბეჭდა ცნობა, რომ რუსული გაზეთი არა ოფიციალური ორგანოა და კერძო ორგანოს აზრს არავითარი გავლენა არ უნდა ჰქონდეს რუსეთის საპოლიტიკო სფერაში; ეს სფერა დიდად აფასებს დელკასეს მოქმედებას, რადგანაც მან ხელი შეუწყო რუსეთ-საფრანგეთის კავშირის განმტკიცებასაო.

გატჩინო. მეფე მემკვიდრე მოვიდა.

ვიბორგი. ჩრდილოეთის ნავიგაცია შესწყდა.

ბელგრადი. ის ხმა, რომ ვითომც მინისტრთა საბჭოში უთანხმოება ჩამოვარდნილიყოს სკუპშჩინის მოწვევის გამო მართალი არ არის.

კორტი იმპერატორი ალექსანდრე III. მშვიდოს უკიანეს ესკადრა გაემგზავრა ზღვით. კრეისერებია: „დიანა“, „პალადა“, „ბოგატირი“, „პობედა“ და „რეტვიზანი“. ესკადრა კილს მივა.

ბრიუსელი. როგორც “Ftoile Berde“ იტყობინება, გრაფს ფლანდრიისას მემკვიდრეობაზედ უარი განუცხადებია; მემკვიდრედ ითვლება პრინცი ალბერტი.

ჰიბლარტარი. როგორც ცეუტიდგან იტყობინებიან, ისპანიის გემი ტეტუანში გაემგზავრა, ევროპიელების მისაშველებლად, რომელთაც განსაცდელი მოელით.

იალტა. ყირიმის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი და ერობის გამგეობათა თავმჯდომარენი წარუდგნენ ხელმწიფე იმპერატორს ლივადიაში. გუბერნიის წინამძღოლმა ეკადოვსკიმ სიტყვით მიჰმართა ხელმწიფე იმპერატორს და ის აზრი გამოსთქვა, რომ ადგილობრივი თავად-აზნაურობა ციდი ბედნიერია ხელმწიფე იმპერატორის და მისის უავგუსტოესის ოჯახის მობრძანებითაო, რაზედაც ხელმწიფე იმპერატორმა მადლობა გარდაუხადა. ხელმწიფე იმპერატორი ესაუბრა წარმომადგენლებს ყირიმის გუბერნიის სამეურნეო საჭიროებათა შესახებ.

პეტერბურგი. 1903 წლის იანვრიდგან აზ რად აქვთ ფოსტით გასაგზავნ ნივთთა დასაზღვევი ნიხრი ნახევრად შეამცირონ.

პეტერბურგის ბირჟა, 29 ოკდომბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	—
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	46,25
პარიჟში ,,	37,65
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97¼ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99¼ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	94¼ გაყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	479 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	364 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	290¼ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	84⅝ გაყ.
4½% გირავნობ. [illegible] ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
[illegible]% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9,950 წვ. გაყ.
აქციები ,, ,, ,,	500 წვრ. გაყ.
,, კასპიის ამხანაგობისა	4,750 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	432 გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	217 გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

სასამართლოს შესახ[illegible]ბი ცნობანი

ტფილისის სამოქალაქო 1-ლ დეპარტამენტში დანიშნულია შემდეგ სამოქალ[illegible]აქო საქმეთა განხილვა: 2 ნოემბრის[illegible]ათვის 1902 წ.

1. ნიკოლოზ ფხა[illegible]ძისა და ალექსანდრე ქუთათელაძის დავა 300 მ[illegible]ნეთზედ.
2. დავით ლევ[illegible]ორიანისა და პეტრე დალაქიშვილის საქმე.
3. ლაზა[illegible]იკა და უთუია ცირკვავათა და შარვან აბრამის საქმე.
4. [illegible]ანიელ, აბრამ, ისაკა, შაფათა, ფაფაილა და სხ. ხანანაშვილების და ნესტორ ქვარიანის საქმე.
5. ელისაბედ დოლობერიძისა და ტერეზია მამაიშვილის საქმე.
6. გაბო, მელიტონ და სხ. ჭიჭინაძეთა და ალექსანდრე და სხ. კანდელაკების დავა.
7. ივანე კორინთლის და დავით სარაჯიშვილის დავა.
8. დავით კვირკელიას და თავ. ლევან და კოწია ანჩაბაძეთა საქმე.
9. ნესტორ მხეიძესი, როსტომ, სისო და სხ. ჭანტურიძეთა, ადნეზე და გიორგი გოგუაშვილებისა და სიმონ და გერასიმე ვარდასანიძეების საქმე.

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის ნოემბრის 9-ს, შუადღის პირველ საათზედ, მისის თანადასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემ[illegible] ბაჟის აკრეფისა შემდეგ ყაფნებიდგან: 1. ავლაბრის მოედნისა, 2. თათრის მოედნისა, 3. ვერის მოედნისა, 4. მახლაკანის მოედნისა, 5. სალდათის ბაზრისა და 6. დესსიმონის მოედნისა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობა[illegible]თა განიხილონ ქალაქის გამგეობის კა[illegible]ცელარიის მე-4-ე განყოფილებაში [illegible] დილ. 9 საათიდგან შუადღის 3 [illegible] საათამდე.

(3—6.—2)

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი“ მ. ვ. ლეჟავასა.

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ქვეშს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(3[illegible]—6.—30)

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა, განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

(წ.)

მიიღებული აქვს ახალ-ახალი ფირფიტები ევროპიელთა და აზიელ მომღერალთა სიმღერებისა.

გაფრთხილება!

კომპანია გრამოფონი

ტფილისი, გოლოვინის პრ., სახლი აზიანცისა, № 7.

ამით ვაუწყებთ პატივი ცემით ჩვენს პ. ტი ცემულს მუშტარს, რომ გასასყიდად გამოიტანეს ბაზარში ჩვენის სამრამოფონო ფირფიტების და აპარატების კოპიო[illegible] სამწუხაროდ, ატყუებენ მუშტარს სხვა და სხვა მოსატყუებლით—ფასის დაკლებით, სხვა-და-სხვა დაპირებით და სხვ. და შედეგად ყველა ამისა ის არის რომ არც ნაყიდი აპარატი და არც ფირფიტა აღარ გამოადგებათ ხ[illegible]ლმე გულ-გატეხილ მყიდველთ.

ვისაც სურს შეიძინოს გრამოფონები და მისი ფირფიტები, ვურჩევთ, იყიდონ ჩვენს მაღაზიაში, სადა მყიდველი თვითვე დარწმუნდება, რა განსხვავებაა ჩვენსა და სხვათა აპარატებში. პირველი კი ის არის, რომ ჩვენის აპარატის მყიდველი ყოველთვის კმაყოფილი იქნება.

კატალოგი უფასოდ გაეგზავნება მსურველს პირველ მოთხოვნილებისამებრ. (7—7)

ამ-[illegible]ლის ფირფიტები გვაქვს ყველა ზომის გრამოფონები და სარჩევლები.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 ноября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.